

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი



„არბიტრაჟი,

როგორც სამოქალაქო დავების განმხილველი ინსტიტუტი“

თეონა ჯუხარაშვილი

„წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

თბილისი, 0156,საქართველო

ივლისი,2019

სარჩევი

რეზიუმე.....	4
შესავალი	6
თავი I. არბიტრაჟის ცნება, ისტორია, კლასიფიკაცია.....	7
§ 1. რა არის არბიტრაჟი?	7
1.1. არბიტრაჟის ისტორია	8
1.2. „სავალდებულო“ და „არასავალდებულო“ არბიტრაჟი	13
1.3. მუდმივმოქმედი და დროებითი (AD HOC) არბიტრაჟი	14
1.4. სასამართლო პრაქტიკა ad hoc არბიტრაჟთან მიმართებით.....	16
თავი II. საარბიტრაჟო შეთანხმება, როგორც საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობა.....	19
§ 2. რა არის საარბიტრაჟო შეთანხმება?	19
➤ პოზიტიური და ნეგატიური ეფექტი.....	21
I. ფიზიკურ პირებთან დადებული საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმა.....	22
II. საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი.....	23
III. საარბიტრაჟო შეთანხმებების ვიწრო შეჯამება.....	24
2.1. არბიტრაჟის ხელშეკრულება	26
2.2. დათქმა არბიტრაჟის შესახებ ძირითად ხელშეკრულებაში	29
➤ კანონის მე-9 მუხლი.....	30
თავი III. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმა.....	32
§ 3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.....	33

➤ უარი აღსრულებაზე.....	34
თავი IV. არბიტრაჟის უპირატესობები სასამართლო პროცესსა და მედიაციასთან შედარებით.....	38
§ 4. არბიტრაჟის უპირატესობები.....	38
4.1. რით განსხვავდება არბიტრაჟი სასამართლო პროცესისგან?	39
4.2. რით განსხვავდება არბიტრაჟი მედიაციისგან?	40
თავი V. არბიტრაჟის მოქმედება საქართველოს პრაქტიკაში	41
§ 5. რა აფერხებს არბიტრაჟს საქართველოში?	44
დასკვნა	51
გამოყენებული ლიტერატურა.....	52

რეზიუმე

არბიტრაჟი, როგორც სამოქალაქო დავების განმხილველი ინსტიტუტი საქართველოში 1997 წლიდან ჩამოყალიბდა და ამ პერიოდის განმავლობაში დიდი გზა განვლო.

სამაგისტრო ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია არბიტრაჟის, როგორც სამოქალაქო დავების განმხილველი ინსტიტუტის უპირატესობებზე სასამართლო პროცესსა და დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიულ საშუალებებთან შედარებით, რომელსაც უკვე მრავალი წელია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები მიმართავენ დავების მოსაგვარებლად. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში არბიტრაჟის ინსტიტუტის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვას, არბიტრაჟის შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგებს, რათა უკეთ შეფასდეს არბიტრაჟის არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია არბიტრაჟის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, საარბიტრაჟო შეთანხმება, როგორც მნიშვნელოვანი ელემენტი არბიტრაჟის პროცესში მონაწილეობისა, არბიტრაჟის უპირატესობები სასამართლო პროცესსა და მედიაციასთან შედარებით, საქართველოში არბიტრაჟთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი დასკვნები, არბიტრაჟის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის შემუშავებული რეკომენდაციები დაინტერესებული მხარეების მიერ.

Resume

Arbitrage as a civil disputes' reviewer Institute was established since 1997 year in Georgia and has passed a long way during this period.

The advantages of arbitration as a civil disputes' reviewer Institute in comparison with trial and other methods of dispute solution are emphasized in Master's work, which is used for disputes' solution by developed countries of world for many years. This work is a legal and practical aspects' review of Arbitration Institute in Georgia, the results of research done about arbitration, in order to evaluate existing condition of arbitration and the perspectives of its development in Georgia.

The history of origination and development of arbitration is formed in work, arbitral agreement as an important element in arbitral process, the priorities of arbitration in comparison with trial and mediating, the main conclusions of research related to arbitration in Georgia, inhibiting factors of development of arbitration and the recommendations for improvement of condition by interested parties.

შესავალი

„დავის გადაწყვეტისას ნეიტრალური მხარის საჭიროებამ, რომელსაც აქვს ცოდნა შესაბამის სფეროში, წარმოშვა არბიტრაჟი, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი“. სახელმწიფოების კანონმდებლების წინაშე დადგა საჭიროება და აუცილებლობა იმისა, რომ დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დავის წარმოშობის შემთხვევაში სასამართლოსგან დამოუკიდებლად შეთანხმდნენ საკუთარ წესებზე მის გადასაჭრელად, რომელიც მოცემული იქნება საარბიტრაჟო შეთანხმებაში.

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები ფორმალური მართლმსაჯულების სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტებია. დავის გადაწყვეტის ისეთი ინსტიტუტის მეტად განვითარება და გამოყენება, როგორცაა არბიტრაჟი, მნიშვნელოვნად შეამცირებს სასამართლოში საქმეთა ნაკადს, რომლებიც წლებია განხილვისა და გადაწყვეტილების მოლოდინში არიან. აღნიშნული ინსტიტუტის განვითარება ხელს შეუწყობს ხელშეკრულებათა უფრო სწრაფ და გაცილებით ნაკლებხარჯიან აღსრულებას.

სწორედ ამ მიზნით, საქართველოში არბიტრაჟის არსებული მდგომარეობისა და აღნიშნული ინსტიტუტის განვითარების პერსპექტივების შესასწავლად 2017 წელს ჩატარდა კვლევა,¹ რომელიც მოიცავდა: კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვას, საარბიტრაჟო ინსტიტუტების საქმიანობის შესწავლას და ინტერვიუებს საარბიტრაჟო პროცესით დაინტერესებულ ჯგუფებთან. კვლევის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა საკანონმდებლო ხარვეზები და ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ არბიტრაჟის განვითარებას საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟი წარმოადგენს პროცესს სასამართლო სტრუქტურის გარეთ, იგი საჭიროებს სამართლებრივ ჩარჩოს და სასამართლო მხარდაჭერას მისი გამართული და ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

¹ კვლევა ჩატარა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC) 2007 წელს

თავი I. არბიტრაჟის ცნება, ისტორია, კლასიფიკაცია

§ 1. რა არის არბიტრაჟი?

არბიტრაჟი არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, როდესაც მხარეები თანხმდებიან. მათ შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში არბიტრაჟმა უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს დავა. არბიტრაჟში მხარეები დავას წარუდგენენ „არბიტრაჟს“ ან „საარბიტრაჟო ტრიბუნალს“, რომელიც განიხილავს საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას და გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომელსაც „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“ ჰქვია. „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“, განსხვავებით პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებისაგან, საბოლოოა და მხარეთათვის სავალდებულო ძალის მქონე. არბიტრაჟის მიერ დავის განხილვა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ხელშეკრულებით პირდაპირ შეთანხმდებიან აღნიშნულზე და მიუთითებენ კონკრეტულ არბიტრაჟს, რომელსაც გადასცემენ დავას. ამ შემთხვევაში სასამართლოს აღარ აქვს უფლებამოსილება განიხილოს დავა, რომელიც გამომდინარეობს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან. იყო დრო, როდესაც სააპელაციო სასამართლო დავის შინაარსში ერეოდა, ახლა კი, საკანონმდებლო ცვლილებით, მხოლოდ პროცესუალურ ნორმებს ამოწმებს, ხომ არ დაირღვა ისინი. ასევე, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სასამართლოში საჩივრდებოდა, ახლა იგი საბოლოო ხასიათისაა და სასამართლოს მხოლოდ მისი ცნობა-აღსრულება ევალება.

1.1. არბიტრაჟის ისტორია

თანამედროვე კომერციული არბიტრაჟი ჩამოყალიბდა შუა საუკუნეებში, ევროპაში. როდესაც სასამართლოები ვერ ახერხებდნენ დავების სწრაფ და დროულ გადაწყვეტას, სასამართლოებთან დაკავშირებული გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ვაჭრებმა შექმნეს კერძო არბიტრაჟები, რომელთაც შეეძლოთ დავების ეფექტური გადაწყვეტა. (ოსტერმილერი 2014, 206)

არბიტრაჟი ასრულებს მნიშვნელოვან როლს კომერციული დავების გადაწყვეტაში იმ დროიდან, როდესაც 17-18 საუკუნეებში ინგლისელი კოლონისტები ამერიკაში დასახლდნენ და ევროპული მოდელი შეიტანეს იქ. 1768 წელს ნიუ იორკის სავაჭრო პალატამ პირველი მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ორგანიზაცია შექმნა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როგორც ამერიკაში, აგრეთვე, სხვა ქვეყნებშიც პრობლემური საკითხი იყო არბიტრაჟის გადაწყვეტილებების აღსრულება. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ არბიტრაჟი განყენებული იყო სასამართლო სისტემისაგან.

არბიტრაჟთან დაკავშირებული ნორმები რამდენჯერმე შეიმუშავეს, მაგრამ მათ საბჭოთა პერიოდამდე სავალდებულო ძალა არ გააჩნდათ. კომერციული დავების მოსაგვარებლად საბჭოთა არბიტრაჟის კომისია შეიქმნა 1922 წელს, ხოლო 1932 წელს შეიქმნა საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის კომისია საერთაშორისო სავაჭრო დავების მოსაგვარებლად.

1923 წელს პარიზში დაარსდა არბიტრაჟის საერთაშორისო სასამართლო საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ, რომელიც გახდა ერთ-ერთი წარმატებული საარბიტრაჟო ორგანიზაცია მთელი მსოფლიოს მასშტაბით.²

მეოცე საუკუნეში მრავალი ქვეყნის სასამართლომ დაიწყო არბიტრაჟის, როგორც დავების გადაჭრის ალტერნატიული საშუალების დანერგვა. 1925 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიღეს ფედერალური არბიტრაჟის აქტი (FAA),

² საერთაშორისო სავაჭრო პალატა ICC- International Chamber Of Commerce

რომელმაც ამოქმედა არბიტრაჟის მუხლები კომერციულ კონტრაქტებში. (ოსტერმილერი 2014, 207).

საქართველომ პირველი კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ 1997 წელს მიიღო. „ეს იყო საბჭოთა კანონმდებლობისაგან განსხვავებული, დამოუკიდებელი საარბიტრაჟო კანონმდებლობის მიღების პირველი მცდელობა“. აღნიშნულ კანონს მრავალი ხარვეზი ჰქონდა. მაგალითად, ის ფაქტი, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება სააღსრულებლო წარწერის საფუძველზე ხორციელდებოდა, რომელიც არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ იყო გაცემული. არბიტრაჟის გადაწყვეტილებას სასამართლო ვერ აკონტროლებდა, რაც იყო საშუალება არბიტრაჟის ბოროტად გამოყენებისა. „იყო შემთხვევები, როდესაც არბიტრაჟის გზით საკუთრების უკანონოდ მიკუთვნება/მისაკუთრება, გაშვილება და სხვაგვარი უკანონო ქმედებები გაუმართლებიათ“. ამასთან, 1997 წლის კანონი სასამართლოებს უფლებას აძლევდა, რომ შეეცვალათ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები მხარეთა მოთხოვნით. (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, არბიტრაჟი 2018, 9).

ამ ყველაფრის შედეგად, სამწუხაროდ, მალევე არბიტრაჟი კორუფციასთან და მიკერძოებულობასთან იქნა ასოცირებული. არბიტრებს, არბიტრაჟის მომხმარებლებს, მოსამართლეებსა და არბიტრაჟთან დაკავშირებულ სხვა პირებს ჩამოუყალიბდათ ნეგატიური დამოკიდებულება მის მიმართ.

XX - საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიქმნა სტაბილური სამართლებრივი ბაზა, რომელმაც არბიტრაჟის საყოველთაო აღიარება და პოპულარობა განაპირობა. (ცერცვაძე 2008).

2000-იანი წლების ბოლოს საქართველოში დაიწყო არბიტრაჟის შესახებ ახალი კანონის მიღება, რომლის საფუძველი იყო გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის³ მიერ შემუშავებული მოდელური კანონი საერთაშორისო

³ UNCITRAL (რომელიც ნიშნავს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიას. „ის ასახავს საერთაშორისო თანხმობას საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკის ძირითად ასპექტებთან დაკავშირებით, რომლებიც მიღებულ იქნა ყველა რეგიონის ქვეყნების და მსოფლიოს სხვადასხვა სამართლებრივი ან ეკონომიკური სისტემების მიერ.“

კომერციული არბიტრაჟის შესახებ, რომელიც აღიარებულია საარბიტრაჟო კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტად.

2009 წელს საქართველომ მიიღო ახალი კანონი არბიტრაჟის შესახებ, რათა საქართველო უკეთ მორგებოდა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო არბიტრაჟისთვის აუცილებელ სტანდარტებს. სასამართლოს შეუნარჩუნდა უფლება შეზღუდულად მიეღო მონაწილეობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულებაში.

2009 წელს მიღებული საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ UNCITRAL-ის მოდელურ კანონს ეფუძნებოდა. ასევე, არბიტრაჟის შესახებ კანონი შეიცავს ნიუ იორკის 1958 წლის კონვენციის⁴ დებულებებს. იგი აწესრიგებს საქართველოში არბიტრაჟის შექმნისა და წარმოების საკითხებს, აგრეთვე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების წესებს, რომელიც მიიღება საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ.

2018 წლის CRRC-ს ნაშრომში აღნიშნულია, რომ 2009 წლის არბიტრაჟის კანონით დარეგულირდა შემდეგი საკითხები:

1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულება დაექვემდებარა სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულება.
2. კანონით ამომწურავად განისაზღვრა საფუძვლები, რომელთა გამოც შეიძლება მოხდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმება, ან მათ ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა.
3. საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის მიმართ მოქნილი მოთხოვნები დამკვიდრდა.
4. არბიტრაჟთან დაკავშირებულ საკითხებში სასამართლოს ჩარევა შეიზღუდა კანონით დადგენილი მოცულობით.

⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებული ნიუ იორკში, 1958 წლის 10 ივნისს

5. კანონმა ბევრი დისპოზიციური ნორმა გაითვალისწინა იმ შემთხვევებისათვის, როდესაც მხარეებს შორის კონკრეტულ საკითხებზე (მაგალითად, არბიტრების რაოდენობა, დანიშვნის წესი, არბიტრაჟის ადგილი, ა.შ) შეთანხმება არ არსებობს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასპექტია ე.წ. ad hoc არბიტრაჟის დამკვიდრების თვალსაზრისით. (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, არბიტრაჟი 2018, 10).

თუმცა, აღნიშნული კანონი შეიცავდა შემდეგი სახის ხარვეზებს:

1. ზღუდავდა მხარეთა მიერ მხოლოდ ინსტიტუციური არბიტრაჟის არჩევის უფლებას;
2. ბუნდოვანი იყო ცნობა აღსრულების პროცედურა;
3. არ არსებობდა საარბიტრაჟო წარმოების დაწყებამდე სასამართლოს მიერ გამოცემული უზრუნველყოფის ღონისძიებების მოთხოვნის უფლება და სხვა.

2015 წელს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით 2009 წლის კანონში შევიდა ცვლილებები აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად. (არბიტრაჟი 2018, 11)

2013 წელს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივით დაფუძნდა ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი“, რომელმაც საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით მოდერნიზაცია გაუკეთა პალატაში არსებულ მოძველებულ და არაეფექტურ არბიტრაჟს. ეს არის „საქართველოში პირველი საარბიტრაჟო ინსტიტუტი, რომელიც ჩამოყალიბებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით და შექმნილია საუკეთესო საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკის გათვალისწინებით. იგი წარმოადგენს ბიზნეს დავების მოგვარების ყველაზე ეფექტურ საშუალებას კავკასია-შავიზღვისპირეთისა და კასპიის რეგიონის მასშტაბით“. (GIAC-საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი).

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი არის საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტი, რომელმაც ჩაანაცვლა პალატაში არსებული შპს „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლო“.⁵

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი დღემდე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტებთან.

2013 წელს დაფუძნდა არბიტრთა პროფესიული გაერთიანება,⁶ რომელმაც 2014 წლის 20 თებერვალს პირველი ეთიკის კოდექსი მიიღო ქართველი არბიტრებისთვის. აღნიშნული კოდექსი EWMI-JILEP-ის მხარდაჭერით რამდენიმე თვის განმავლობაში მუშავდებოდა არბიტრთა ასოციაციის მიერ. ასოციაციის წევრების საერთო კრებაზე კოდექსი მცირედი ცვლილებებით ერთსულოვნად იქნა მიღებული კოლორადოს უნივერსიტეტის, პროფესორ ემი შმიტცის მონაწილეობით, რომელიც საქართველოს 2013 წლის ნოემბერში ესტუმრა და არბიტრთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოსთან ერთად კოდექსის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბებაში მიიღო მონაწილეობა. (არბიტრთა ეთიკის კოდექსი - 2014).

მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟს მძიმე წარსული ჰქონდა, იგი არა მხოლოდ გადარჩა, არამედ გარკვეული ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში. კერძოდ, გვაქვს კანონი არბიტრაჟის შესახებ და სახელმწიფოს მხარდაჭერა, რომ არბიტრაჟი, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი კიდევ უფრო განვითარდეს და მიმზიდველი გახდეს. (IBID-11).

⁵ აღნიშნულმა შპს-მ 2012 წელს შეწყვიტა საქმიანობა

⁶ „საქართველოს არბიტრთა ასოციაცია“ (GAA)

1.2. „სავალდებულო“ და „არასავალდებულო“ არბიტრაჟი

სანამ არბიტრაჟის განსხვავებული სახეებით დაყოფას განვიხილავთ, გავარკვიოთ რას ნიშნავს „ლია“ და „დახურული“ არბიტრაჟი, რომელთაც ერთმანეთისგან განსახილველი საქმეების მიხედვით განასხვავებენ.

არბიტრაჟი „ლია“, თუ მას გააჩნია ნებისმიერ სუბიექტებს შორის წარმოშობილი დავის განხილვის უფლება, ხოლო არბიტრაჟი „დახურულია, თუ მხოლოდ პირთა განსაზღვრული წრის წარმომადგენლებს შორის განიხილავს დავებს. (ცერცვაძე -2008, 26).

აღიარებულია აღნიშნული ინსტიტუტის კლასიფიკაცია „სავალდებულო“ და „არასავალდებულო“ არბიტრაჟებად. მხარეები კონტრაქტის გაფორმებისას თავად წყვეტენ თუ რომელ არბიტრაჟს გამოიყენებენ დავის წარმოშობის შემთხვევაში.

არბიტრაჟის მიზანი - მხარეთათვის სავალდებულო გადაწყვეტილების გამოტანას წარმოადგენს. თუ როგორც ერთი მხარე, ასევე მეორე მხარეც დათანხმდება საარბიტრაჟო განხილვაზე და გამოვა მხარეებისთვის სავალდებულო გადაწყვეტილება, ეს იქნება „ნამდვილი (სავალდებულო) არბიტრაჟი“. (True (binding) arbitration).⁷ „სავალდებულო არბიტრაჟი“ გულისხმობს ნეიტრალური მხარის მიერ მიღებულ სავალდებულო გადაწყვეტილებას, რაც სასამართლო სამართალწარმოებისთვისაა დამახასიათებელი. მხარეებს აქვთ გადაწყვეტილების გასაჩივრების შეზღუდული უფლება. ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულება ხდება იძულებით, მართლმსაჯულების გამოყენებით, რომელიც სავალდებულო არბიტრაჟს წარმოადგენს. (ოსტერმილერი და სვენსონი - 2014, 211).

„არასავალდებულო არბიტრაჟი“-ის შემთხვევაში, თითოეულ მხარეს აქვს არბიტრის გადაწყვეტილების უარყოფის საშუალება, გადაწყვეტილების

⁷ Kaufmann-Kohler, Gabrielle; Schultz, Online dispute resolution, Challenges for contemporary Justice, International arbitration law library, „Kluwer law international“, The Hague, 2004, p. 169.

მიღებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში. „გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნაცვლად, არბიტრი იძლევა არჩევით გადაწყვეტილებას. მხარეები მას იყენებენ, როგორც გარკვეულ ინსტრუმენტს მოლაპარაკების პროცესში“. მათ შეიძლება მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც დააკმაყოფილებს ორივე მხარის ინტერესს.

„არასავალდებულო არბიტრაჟი“ მოლაპარაკების პროცესის ნაწილია, რომლის შედეგს თვითონ მხარეები აკონტროლებენ, რაც მედიაციის ინსტიტუტის მახასიათებელია.

არსებობს ასევე, „ადმინისტრირებული“ და „სპონტანური“ არბიტრაჟები. „ადმინისტრირებული“ არბიტრაჟის შემთხვევაში დავა მიმდინარეობს არბიტრაჟის ცენტრში (მაგ.: საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო პალატა), რომელიც უზრუნველყოფს არბიტრთა სიას, პროცედურულ წესებს, სხვადასხვა საკითხებს, რაც არბიტრაჟის პროცესთან არის დაკავშირებული, ხოლო „სპონტანური“ არბიტრაჟის შემთხვევაში, მხარეებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ დეტალები, შექმნან საკუთარი წესები და ფორუმი, განსაზღვრონ პროცედურული წესები, არბიტრები და სხვა. ამ შემთხვევაშიც, მხარეები კონტრაქტის გაფორმებისას უნდა შეთანხმდნენ რომელიმე ფორმაზე და მიუთითონ კონტრაქტის არბიტრაჟის მუხლში. „ადმინისტრირებული და სპონტანური არბიტრაჟი შეიძლება იყოს, როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო“. (ოსტერმილერი და სხვენსონი 2014, 213).

1.3. მუდმივმოქმედი და დროებითი (AD HOC) არბიტრაჟი

არბიტრაჟის წარმართვა შესაძლებელია ორი ფორმით:

- 1) მუდმივმოქმედი (ინსტიტუციური) არბიტრაჟი, როდესაც დავას საარბიტრაჟო ტრიბუნალი განიხილავს საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესებითა და მისი ადმინისტრირებით;
- 2) Ad hoc არბიტრაჟი, როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ თავად (და მათ მიერ არჩეულმა არბიტრებმა) წარმართონ საარბიტრაჟო პროცესი მათ მიერ, ან კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, საარბიტრაჟო ინსტიტუტის ადმინისტრირების გარეშე. (ბორნო, საერთაშორისო არბიტრაჟი, 2015, 17).⁸

მუდმივმოქმედი არბიტრაჟები მოქმედებენ საქმეთა წარმოებისათვის დადგენილი საკუთარი წესებით. მათი საქმიანობის წესი და ორგანიზაცია მათივე წესდებებით რეგულირდება. აღნიშნული არბიტრაჟის არსებობისათვის აუცილებელია საარბიტრაჟო რეგლამენტი.

საარბიტრაჟო რეგლამენტით განისაზღვრება დავების განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურული საკითხები, ასევე, საარბიტრაჟო ხარჯები, მოდელური საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსი, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს იმ მხარეებისათვის, რომლებიც შეთანხმდებიან, რომ მათ შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში სწორედ ამ არბიტრაჟს გადასცენ დავა.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟისათვის დამახასიათებელი ნიშნებია:

- საკუთარი (დამოუკიდებელი) ადმინისტრაცია
- პროცესის ადმინისტრაციული უზრუნველყოფა
- არბიტრთა შემადგენლობის ფორმირება
- საარბიტრაჟო რეგლამენტის შემუშავება და მხარეთათვის მისი შეთავაზება
- ხარჯების რეგულირება
- სტანდარტული საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის შემუშავება მომხმარებლისათვის
- არბიტრთა სიის შედგენა, რომლიდანაც მხარეები აკეთებენ არჩევანს.

⁸ იხ. Kluwer law International

მუდმივმოქმედი არბიტრაჟები ცდილობენ ყველანაირად მიმზიდველი გახადონ მომსახურება, რისთვისაც მომხმარებლებს მომსახურებისა და ანაზღაურების სხვადასხვა სისტემებს სტავაზობენ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟებისგან განსხვავებით ad hoc არბიტრაჟები ნაკლები პოპულარობით სარგებლობენ, ვინაიდან მუდმივმოქმედი არბიტრაჟების მიერ ორგანიზებული საარბიტრაჟო განხილვების ხარისხი ბევრად მაღალია ad hoc არბიტრაჟებისაგან განსხვავებით, რასაც განაპირობებს ის ფაქტი, რომ მუდმივმოქმედი არბიტრაჟები დაკომპლექტებულნი არიან იმ არბიტრთა შემადგენლობით, რომლებიც პერმანენტულად მუშაობენ აღნიშნულ სფეროში და შესაბამისად, დიდი გამოცდილება აქვთ. Ad hoc არბიტრაჟის შექმნა კი დაკავშირებულია ერთ კონკრეტულ დავასთან, რომლის დასრულების შემდეგ ინსტიტუტი წყვეტს ფუნქციონირებას. ვინაიდან, ad hoc არბიტრაჟი ერთი კონკრეტული დავისთვის იქმნება. საარბიტრაჟო პროცედურის მონაწილენი ცდილობენ მაქსიმალურად მოერგონ დავის სპეციფიკას, შესაბამისად, შესაძლებელია მხარეებმა ისეთი წესები შეადგინონ, რომელიც ხელშეწყობის სანაცვლოდ, პირიქით, გაართულებს დავის შეთანხმებით დასრულებას. სწორედ ამიტომ, მეწარმეები ამჯობინებენ უკვე არსებულ მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო ინსტიტუტებისათვის მიმართვას. (ცერცვაძე, 2008)

1.4. სასამართლო პრაქტიკა ad hoc არბიტრაჟთან მიმართებით

2015 წლის ცვლილებები სასამართლო პრაქტიკაში

2009 წელს მიღებული არბიტრაჟის შესახებ კანონის შესაბამისად, სასამართლო არ აღასრულებდა ad hoc საარბიტრაჟო დათქმებს. აღნიშნულ კანონში 2015 წელს 2.2 მუხლში შევიდა ცვლილება, რომლის შედეგად მუხლი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

„2. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ საარბიტრაჟო წარმოების წესებზე. ამ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმება მოიცავს საარბიტრაჟო წარმოების იმ წესებს, რომლებზედაც მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითებენ. ამასთანავე, მხარეთა შეთანხმება კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებაზე მოიცავს შეთანხმებას ამავე საარბიტრაჟო დაწესებულების წესებზე“.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი 2018 წლის კვლევაში „არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვს საქართველოში“, აღნიშნავს, რომ ზემოთ აღნიშნული მუხლის ტექსტი საკმარისად ნათელი არ არის იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ არბიტრაჟზე, რომელიც რომელიმე საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრირების გარეშე წარიმართება, რაც წარმოადგენს ad hoc-ის არსს. თუმცა, თუ აღნიშნულ მუხლს ფართოდ განვმარტავთ, გვაქვს იმის საშუალება, ვივარაუდოთ, რომ ვინაიდან მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ საარბიტრაჟო წარმოების წესებზე, „რაც მხოლოდ ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) შესაძლებლობაა მათთვის“-მამასადამე, შესაძლებელი არის, რომ ისინი საარბიტრაჟო წარმოების წესებზე ან რომელიმე კონკრეტულ დაწესებულებაზე არც შეთანხმდნენ.

კანონის ცვლილებებზე მომზადებულ განმარტებითი ბარათის თანახმად, აღნიშნულ მუხლში ცვლილებების შეტანის შედეგად, „UNCITRAL-ის მოდელური კანონის მსგავსად, მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა მიმართონ კონკრეტული დავის გადასაწყვეტად შექმნილ ad hoc არბიტრაჟსაც“.⁹

„სასამართლო პრაქტიკა საარბიტრაჟო შეთანხმების განმარტებაზე იმგვარად ჩამოყალიბდა, რომ რჩება რისკი, ad hoc საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობა სასამართლომ არ ცნოს“. ამ წინადადების მაგალითად, კვლევითი რესურსების ცენტრს მოჰყავს მაგალითი თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში აღნიშნული განმარტების: „სამოქალაქო საქმეთა პალატა განმარტავს, რომ დავის არბიტრაჟის გზით გადაწყვეტის თაობაზე მხარეთა

⁹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე, რეგისტრაციის ნომერი (07-2/280/8, 1)

შეთანხმება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით-გარიგებაა, რომელიც ამომწურავად უნდა განსაზღვრავდეს პირობებს, რათა ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი. შესაბამისად, როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლო (2016 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება, საქმე #2ბ/3594-15 და საქმე #2ბ/3306-15) აღნიშნავს „მხარეები ვალდებული არიან შეტანხმებაში კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულება, არბიტრი მიუთითონ“. ან, „საარბიტრაჟო შეთანხმებიდან ზუსტად უნდა დგინდებოდეს, თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა უნდა განიხილოს არბიტრაჟმა და შესაძლებელი უნდა იყოს იმ არბიტრაჟის ზუსტად იდენტიფიცირება, რომელმაც უნდა განიხილოს დავა“. (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #2ბ/3117-11 და 2016 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #2ბ/4905-16).

Ad hoc არბიტრაჟი მოიაზრებს იმას, რომ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის მხარეებმა არ იციან, ვინ იქნება დავის განმხილველი არბიტრი ან არბიტრაჟი. მხარეები თავად ან სასამართლოს დახმარებით ნიშნავენ არბიტრებს.

თავი II. საარბიტრაჟო შეთანხმება, როგორც საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობა

§ 2. რა არის საარბიტრაჟო შეთანხმება?

„საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე“.

არბიტრაჟი წარმოადგენს სახელშეკრულებო სამართლის ინსტიტუტს და მისი ერთადერთი მიზანია საარბიტრაჟო შეთანხმების მეშვეობით მხარეთა შორის არსებული დავის გადაწყვეტა. საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი ბუნება გულისხმობს, სახელმწიფო სასამართლო იურისდიქციის გამორიცხვას. საარბიტრაჟო შეთანხმება (დათქმა) არის კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სამოქალაქო კოდექსით ხელშეკრულებისათვის დადგენილ მოთხოვნებს იმ ყოველივეს გათვალისწინებით, რაც გამომდინარეობს საქართველოს კანონიდან „არბიტრაჟის შესახებ.“ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის დასადგენად გამოიყენება იგივე კრიტერიუმები, რაც ჩვეულებრივი ხელშეკრულების ნამდვილობის დასადგენად. საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის შეფასებისას უნდა გამოირიცხებოდეს ნების, ფორმის და შინაარსის ნაკლი.

საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით. საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. „საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ მისი შინაარსი დაფიქსირებულია ნებისმიერი ფორმით მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების

დადების ფორმისა.“ აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განიხილოს იმ არბიტრაჟმა, რომელზეც შეთანხმდებიან მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას. შეთანხმებაში მხარეებმა უნდა მიუთითონ კონკრეტული არბიტრაჟი, რომელიც სამომავლოდ უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გადაწყვიტოს დავა. არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შეთანხმების შინაარსი უნდა შეიცავდეს მხარეთა ნამდვილი ნების გამოხატვას კონკრეტული სამოქალაქო დავის კონკრეტული არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო წესით განხილვაზე. მაშინ, როდესაც მხარეები თანხმდებიან დავა განიხილოს არბიტრაჟმა და არა სასამართლომ, ისინი გამოხატავენ ნებას, რომ თანახმანი არიან მათი დავა გადაწყდეს არბიტრაჟის საშუალებით, ანუ საარბიტრაჟო წესით, რომელიც განსხვავდება საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმის განხილვის წესისგან.

ამდენად, „ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსებული დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ, შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისათვის, კერძოდ, საარბიტრაჟო შეთანხმებიდან არაორაზროვნად უნდა ირკვეოდეს მხარეთა სურვილი, მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა განსახილველად გადაეცეს შესაბამის არბიტრაჟს და არა საერთო სასამართლოს“. აღნიშნული შეთანხმებით, აგრეთვე ზუსტად უნდა ირკვეოდეს, თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა უნდა განიხილოს არბიტრაჟმა. ასევე, საარბიტრაჟო შეთანხმებაში უნდა იყოს მითითება იმ არბიტრაჟზე, რომელიც განიხილავს დავას. ბათილია ის საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელში მითითებული არბიტრაჟი არც დაკონკრეტებულია და არც იმგვარად ჩამოყალიბებული, რომ მისი შინაარსის მიხედვით შეიძლებოდეს იმის განსაზღვრა, თუ რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს გულისხმობდნენ მხარეები.¹⁰

¹⁰ (საარბიტრაჟო შეთანხმება, განჩინება, # ას-1528-1534-2011, 27 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი, 8).

საერთაშორისო პრაქტიკა ყველაზე გავრცელებულ საარბიტრაჟო შეთანხმების სამ სახეს გამოყოფს:

1. **საარბიტრაჟო დათქმა** - ეს არის ძირითადი ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმება, რომელიც ჩართულია ხელშეკრულების ტექსტში და მიუთითებს იმ დავების გადაწყვეტისათვის საარბიტრაჟო პროცედურის გამოყენებაზე, რომელიც შესაძლოა მომავალში წარმოიშვას აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე. საარბიტრაჟო დათქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება კანონშესაბამისი, თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულია კონკრეტული არბიტრაჟი (არბიტრი). აღნიშნული დათქმა უნდა იყოს უალტერნატივო. „დაუშვებელია საარბიტრაჟო დათქმიდან ორი ან მეტი არბიტრაჟის განსჯადობა გამომდინარეობდეს“.
2. **საარბიტრაჟო ჩანაწერი** - რომელიც არის კონტრაქტისაგან დამოუკიდებელი შეთანხმება. იგი განიხილავს მხარეთა შორის უკვე წარმოშობილ დავას.
3. **საარბიტრაჟო ხელშეკრულება** - დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა და ითვალისწინებს იმ დავის არბიტრაჟისათვის გადაცემას, რომელიც კონკრეტული ხელშეკრულებიდან ან მხარეთა შორის წარმოშობილი კონკრეტული ურთიერთობიდან შეიძლება წარმოიშვას. (ცერცვაძე, 2008).

➤ **პოზიტიური და ნეგატიური ეფექტი**

ნიუ-იორკის კონვენციის მიხედვით,¹¹ საარბიტრაჟო შეთანხმებას გააჩნია პოზიტიური და ნეგატიური სამართლებრივი შედეგი. იგი ავალდებულებს მხარეებს, რომ გადასცენ მათი დავა არბიტრაჟს და ანიჭებს საარბიტრაჟო ტრიბუნალს იურისდიქციას იმ დავის ფარგლებში, რომელიც შედის საარბიტრაჟო შეთანხმებაში (პოზიტიური ეფექტი). თუკი წარმოიშობა დავა, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმებაში იყო გათვალისწინებული, თითოეული მხარე უფლებამოსილია გადასცეს ეს დავა განსახილველად საარბიტრაჟო ტრიბუნალს. ასევე, იგი უზღუდავს მხარეებს საშუალებას, რომ დავის გადასაწყვეტად მიმართონ სასამართლოს (ნეგატიური ეფექტი). საარბიტრაჟო შეთანხმების დადებით მხარეები გამორიცხავენ დავის გადაწყვეტას სასამართლოს საშუალებით. „მხარე, რომელმაც დადო საარბიტრაჟო შეთანხმება არ არის უფლებამოსილი უგულებელყოს იგი და არბიტრაჟის ნაცვლად წავიდეს სასამართლოში.“ (ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე 2013, 10-11).

ნიუ-იორკის კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ ცნონ და აღასრულონ კონვენციის ეს თვისებები.

I. ფიზიკურ პირებთან დადებული საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმა

როგორც კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი აღნიშნავს, 2015 წელს მოხდა ცვლილებები, რის შედეგადაც „შეიცვალა ფორმის მიმართ მოთხოვნა ფიზიკურ პირებთან დადებული საარბიტრაჟო შეთანხმების კუთხით. აგრეთვე, ცენტრი აღნიშნავს, რომ 2015 წლამდე არსებული რეგულაციით, როცა საარბიტრაჟო შეთანხმების ორივე მხარე ფიზიკური პირი იყო, მათ შორის დადებული ხელშეკრულება სანოტარო წესით უნდა ყოფილიყო დამოწმებული. ხოლო, თუ ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანო ან ფიზიკური პირი იყო,

¹¹გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებული ნიუ იორკში, 1958 წლის 10 ივნისს. ნიუ-იორკის კონვენცია არის საერთაშორისო ხელშეკრულება. იგი არის საერთაშორისო საჯარო სამართლის ნაწილი.

მაშინ უბრალოდ წერილობითი ფორმაც საკმარისი იყო. 2015 წელს განხორციელებული ცვლილებებით საჭირო აღარ იყო სანოტარო ფორმის მოთხოვნა, რაზეც ცენტრი აღნიშნავს, რომ მართებულია. აგრეთვე, დადგინდა, რომ როცა საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარეა ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, მაშინ ასეთი „შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობით, ისეთი დოკუმენტის მეშვეობით, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ.“ (საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 8.8).

აღნიშნულ ნაშრომს მოჰყავს მაგალითი თბილისის სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკიდან, სადაც 2016 წლის 30 მარტის განჩინებით¹² საქმეში მხარეთა შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მსესხებელი, ფიზიკური პირი, ელექტრონული განაცხადის შევსებით შეთანხმებოდა ხელშეკრულების სხვა პირობებს. ერთ-ერთი ასეთი პირობა იყო დათქმა არბიტრაჟის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ უარი განაცხადა აღნიშნული დათქმის საფუძველზე არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე და მიზეზად დაასახელა ის, რომ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირთან დადებულ საარბიტრაჟო შეთანხმებას მხარე უნდა აწერდეს ხელს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა: „როდესაც მოპასუხე [...] ფიზიკური პირია, მხოლოდ ხელშეკრულების გაცნობა და ელექტრონულად აღნიშნულის დადასტურება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ვერ ჩაითვლება საარბიტრაჟო შეთანხმების დადებად. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი შეთანხმება არბიტრაჟზე“.

II. საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი

¹² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე (#28/3594-15)

„ზოგადი პრინციპის თანახმად, მხარეები თვითონ ირჩევენ საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელ სამართალს“. ხოლო თუ ასეთი არჩევანი არ არსებობს, უნდა მოხდეს იმ სახელმწიფოს სამართლის გამოყენება, სადაც საარბიტრაჟო განხილვა მიმდინარეობს.¹³

საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა საპროცესო მნიშვნელობის საკითხი არ არის. აღნიშნულ შემთხვევაში სარჩელი შეიძლება რამდენიმე სახელმწიფოს სასამართლოს წარედგინოს. „სხვადასხვა სახელმწიფოში lex fori-ს გამოყენება სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს“. (ცერცვაძე 2008)

ელექტრონული ფორმით დადებული საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელ სამართლად მხარეებმა უნდა აირჩიონ იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა, რომელიც აღიარებს ელექტრონული საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობას.¹⁴

III. საარბიტრაჟო შეთანხმებების ვიწრო შეჯამება

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით დეფინიციებს, როგორც არის: „შეთანხმებაში პირდაპირ უნდა იყოს მითითებული კონკრეტული არბიტრაჟი, რომელიც უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გადაწყვიტოს დავა. ბათილია საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არბიტრაჟი არც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული და არც იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელი იყოს განსაზღვრა, თუ რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს გულისხმობდნენ მხარეები“.

აგრეთვე, საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკით, ბათილად ცხადდება ალტერნატიული დებულებები, სადაც მითითებულია, რომ დავის

¹³ ნიუ იორკის კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი

¹⁴ Kalanke, Irene Schiedsgerichtbarkeit und Schiedsgerichtsanliche Verfahren im internet. Eine rechtsvergleichende Analyse der Online-Schiedspraxis weltweit Verlag Dr Kovac Hamburg, 2004, s.91

შემთხვევაში იგი გადაწყდება (კოკრეტულ) არბიტრაჟში ან სასამართლოში მიმართვის გზით.¹⁵ ეს არ წარმოადგენს ხარვეზს.¹⁶ ამგვარი მიდგომა მიგვაკუთვნებს იმ ქვეყანათა რიცხვს, რომლებიც მკაცრად განმარტავენ საარბიტრაჟო შეთანხმებას და მხარეთა ნების დასადგენად უფრო მაღალ სტანდარტს აწესებენ, განმარტავენ კვლევითი რესურსების ცენტრი.

მსგავს მაგალითს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება.¹⁷ აღნიშნულ საქმეში შემდეგი დათქმა იყო, სათაურით „არბიტრაჟი“: „5.1. ყველა სადავო საკითხს ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მხარეები გადაწყვეტენ, ურთიერთმოლაპარაკების გზით. 5.2. შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება ინგლისის სამართლის გამოყენებით, იურისდიქციის ადგილი: ლონდონი.“ სასამართლომ უარი განაცხადა ლონდონში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე, რომლის ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა ის გარემოება, რომ „[...] ერთპიროვნულმა არბიტრმა დავა განიხილა და გადაწყვეტილება მიიღო მოსარჩელის მეორადი მოთხოვნიდან გამომდინარე, რითაც იგი გასცდა საარბიტრაჟო დათქმის ფარგლებს“.

არსებობს საარბიტრაჟო დათქმების ეფექტიანი განმარტებებიც. მაგალითად, 2015 წლის ერთ-ერთ საქმეზე, რომელსაც ბათუმის საქალაქო სასამართლო განიხილავდა, მეორე მხარემ წარადგინა განცხადება, რომ საქმე არბიტრაჟისათვის გადაცემულიყო. ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა. მიიჩნია, რომ საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ICC-ს მოდელური საარბიტრაჟო დათქმის სახით იყო ჩამოყალიბებული, არ იყო ნამდვილი.¹⁸ ბათუმის საქალაქო სასამართლომ საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც მიუთითებდა საარბიტრაჟო დაწესებულების წესებზე (და არა დაწესებულებაზე), მიიჩნია ბუნდოვნად იმისათვის, რომ დადგენილიყო რომელი კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულება ჰქონდათ მხარეებს შერჩეული.

¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე (ას-804-858-2011, 27.06.2011წ)

¹⁶ ამ საკითხის მიმართ, არც საერთაშორისო პრაქტიკაშია ერთგვაროვნება

¹⁷ (საქმე #ა-887-შ-21-2016, 26.08.2016 წ).

¹⁸ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება (2-1043/15)

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრისა¹⁹ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ნოემბრის²⁰ განჩინებებით აღმოიფხვრა ზემოთ აღნიშნული პრაქტიკის ხარვეზი. თბილისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, „მხარეები შეთანხმდნენ რა საარბიტრაჟო განხილვის წესებსა და რეგულაციებზე ისინი შეთანხმდნენ დავის არბიტრაჟის განხილვაზეც და გაცნობიერებული ჰქონდათ სასამართლო სამართალწარმოებაზე უარის შედეგები“. ორივე სააპელაციო სასამართლომ მხარეთა ნებად მიიჩნია დათქმა, რომელიც მიუთითებდა შესაბამისი საარბიტრაჟო დაწესებულების წესებზე და მათი დავის გადაწყვეტა შესაბამისი ინსტიტუტის ადმინისტრირებას დაექვემდებარა.

2.1. არბიტრაჟის ხელშეკრულება

არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შეთანხმების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა ნამდვილ ნებას კონკრეტული სამოქალაქო დავის კონკრეტული არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო წესით განხილვაზე. თუ ასეთი დათქმა არ არსებობს, არბიტრაჟი არ არის უფლებამოსილი განიხილოს დავა. საარბიტრაჟო შეთანხმებაში ან პირდაპირ უნდა იყოს მითითებული კონკრეტული არბიტრაჟი, რომელიც უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გადაწყვიტოს დავა, ან მხარეთა ასეთი ნება უნდა გამომდინარეობდეს ხელშეკრულების განმარტებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმებიდან ზუსტად უნდა დგინდებოდეს, თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა უნდა

¹⁹ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინება საქმეზე (#2/ზ-872)

²⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება (#2ზ-49)

განიხილოს არბიტრაჟმა და შესაძლებელი უნდა იყოს იმ არბიტრაჟის ზუსტად განსაზღვრა, რომელმაც უნდა განიხილოს იგი.

ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი დებულებების მიხედვით, ხელშეკრულება უნდა განიმარტოს მხარეთა საერთო ნების და არა სიტყვასიტყვითი განმარტებიდან; განმარტების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული: ხელშეკრულების დადების დროს არსებული გარემოებები; მხარეთა მოქმედებები; ხელშეკრულების ბუნება და მიზანი; მხარეების მსგავსი განმარტებები და მნიშვნელობები; ჩვეულებები; კეთილსინდისიერებისა და პატიოსანი საქმიანი პრინციპები.

გაეროს კონვენციის მიხედვით, საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ,²¹ ხელშეკრულება უნდა განიმარტოს მხარის განზრახვის (ე.ი. ნამდვილი ნების) შესაბამისად, თუკი მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მეორე მხარის განზრახვის თაობაზე.

უნიდროას პრინციპების მიხედვით, ხელშეკრულების განმარტებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები:

- წინასწარი მოლაპარაკებები მხარეთა შორის;
- მხარეთა შორის დამკვიდრებული პრაქტიკა;
- მხარეთა მოქმედებები ხელშეკრულების დადების შემდეგ;
- ხელშეკრულების ხასიათი და მიზანი;
- ამ კომერციულ საქმიანობაში პირობებისა და გამონათქვამების საზოგადოდ მიღებული მნიშვნელობა და ჩვეულებები.

ასევე გამოიყენება „პირობათა შევსების“ პრინციპი, რომლის დროსაც მხედველობაში მისაღებია მხარეთა განზრახვა, ხელშეკრულების ხასიათი და მიზანი, კეთილსინდისიერება და პატიოსანი საქმიანი პრაქტიკა; კეთილგონიერება. ხელშეკრულების პირობები განიმარტება ისე, რომ ყველა მათგანს მიეცეს მნიშვნელობა და არა რომელიმეს წაერთვას ძალა.

²¹ CISG- United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods

ნების გამოვლენის განმარტება იგივე კანონის განმარტებაა, რადგან ორივე შემთხვევაში ხდება ბუნდოვანი და საეჭვო აზრის დაზუსტება. ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია. ასევე, როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტება და „ხელშეკრულების შევსებითი განმარტება“ განსხვავებული ცნებებია. სხვადასხვანაირი, ორაზროვანი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დაზუსტების აუცილებლობას ადგილი აქვს, როდესაც მხარეებს ხელშეკრულების ტექსტში გამორჩენილი აქვთ ცალკეულ საკითხთა მოწესრიგება, ან ხელშეკრულების პირობები გარკვეული ხარვეზებითაა მოცემული. ხელშეკრულების განმარტების საფუძვლებთან დაკავშირებით ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპების მიხედვით, ხელშეკრულება უნდა განიმარტოს მხარეთა საერთო ნების შესაბამისად იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი განსხვავდება სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისაგან. მხარეთა საერთო ნების დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, განმარტების კრიტერიუმად მიიჩნევა ხელშეკრულების მხარეთა მსგავსი გონივრული აზროვნების მქონე პირთა შეფასება მოცემულ გარემოებებში. ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამი (პირობა) უნდა განიმარტოს იმ მთლიანი ხელშეკრულების ჭრილში, რომელშიც ისინი არიან მოცემული.²²

„ნებისმიერი დავა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით საბოლოოდ უნდა იქნას გადაწყვეტილი არბიტრაჟის მიერ“, და „დავა განიხილება საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების მიხედვით“, იძლევა შესაძლებლობას, შეთანხმების შინაარსობრივი შეფასებით დადგინდეს მხარეთა ნება დავის კონკრეტული არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე.

²² (სუსგ ას-358-343-2016)

2.2. დათქმა არბიტრაჟის შესახებ ძირითად ხელშეკრულებაში

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, დავის არბიტრაჟის გზით გადასაჭრელად საჭიროა, რომ მხარეებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში არსებობდეს დათქმა არბიტრაჟის შესახებ, რომელიც წერილობითი ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს. იგი მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს, რომ მხარეებს დავის გადაწყვეტა არბიტრაჟის საშუალებით სურთ. ამის შემდგომ, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ თუ რა დეტალებს დაუმატებენ აღნიშნულ ხელშეკრულებას, რაც დაეხმარება მათ არბიტრაჟის წარმატებით განხორციელებაში. (ოსტერმილერი 2014, 224-225).

როდესაც საარბიტრაჟო დათქმა ფართოდაა ფორმირებული და განმარტებას საჭიროებს, მხოლოდ ძლიერი მტკიცებულებები იქნება მხედველობაში მიღებული იმის დასადგენად, რომ მხარეებს სურდათ გამოერიცხათ არბიტრაჟი, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმი. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ვისკონსინის ადმოსავლეთ რაიონის საოლქო სასამართლომ შეაფასა საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც (ინგლისურ ვერსიაში) ითვალისწინებდა, რომ დავა უნდა გადაწყვეტილიყო არბიტრაჟის მიერ სინგაპურში „იმ დროს მოქმედი საერთაშორისო საარბიტრაჟო დაწესებულებაში“. სასამართლომ განმარტა, რომ მხარეები ამგვარი ფორმულირებით გულისხმობდნენ, ცნობილ საარბიტრაჟო ორგანიზაციას, „სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს“.

ზოგიერთი საარბიტრაჟო დაწესებულების სტანდარტული/მოდელოური დათქმა აკეთებს მითითებას სწორედ წესებზე, მაგრამ არა თავად დაწესებულებაზე. მაგალითად, საერთაშორისო საარბიტრაჟო პალატის, (ICCA)-ს მოდელოური დათქმა სტანდარტულ საარბიტრაჟო შეთანხმებაზე ასეთია: ნებისმიერი დავები, რომელიც წარმოიშვება ან გამომდინარეობს ამ ხელშეკრულებიდან საბოლოოდ უნდა იქნას განხილული და გადაწყვეტილი საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო რეგლამენტით (წესებით) ამ რეგლამენტის შესაბამისად დანიშნული ერთი ან რამდენიმე არბიტრის მიერ.

➤ კანონის მე-9 მუხლი

„სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე უნდა გაკეთდეს, შეწყვიტოს წარმოება და მიუთითოს მხარეებს არბიტრაჟზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია.“²³

ზემოთ აღნიშნული ფორმულირებით, როდესაც სასამართლოში შევიდოდა სარჩელი იმ დავაზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანი იყო, სასამართლო უფლებამოსილი იყო, უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე და საქმის წარმოება შეეწყვიტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე სასამართლოს საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შესახებ შეტყობინებას წარუდგენდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მხარეთა შეთანხმება, საკმარისი არ იყო სასამართლოსთვის არბიტრაჟზე მისათითებლად. დამატებით, საარბიტრაჟო დათქმის ერთ-ერთ მხარეს აუცილებლად უნდა შეეტანა საარბიტრაჟო სარჩელი. აღნიშნული ფორმულირება ეწინააღმდეგებოდა ნიუ იორკის კონვენციის მე-2 მუხლს და გაუგებარ მდგომარეობაში აყენებდა საარბიტრაჟო მოპასუხეს, რომელსაც საარბიტრაჟო სარჩელის შეტანა მოუწევდა საარბიტრაჟო შეთანხმების აღსასრულებლად. 2015 წლის ცვლილებით, ეს ხარვეზი გამოსწორდა და დადგინდა, რომ საკმარისია მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება. აგრეთვე, დაზუსტდა, რომ სასამართლომ საქმის წარმოების შეწყვეტისას მხარეებს არბიტრაჟზე უნდა მიუთითოს. აღნიშნულ საკითხზე კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს თავის ნაშრომში მოჰყავს 2015 წლის სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ცენტრის განმარტებით, სრულად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. კერძოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრისა და

²³ „საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ“, თავი II, მუხლი 9 (1)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 აგვისტოს განჩინებებით,²⁴ საქმეების წარმოება შეწყდა და მხარეებს მიეთითათ, რომ მათ შორის დავა ექვემდებარებოდა არბიტრაჟის წესით განხილვას, როგორც ამას შესაბამისი ხელშეკრულებები ითვალისწინებდა: 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინების შემთხვევაში, საარბიტრაჟო შეთანხმება უთითებდა უცხოეთში არსებულ არბიტრაჟზე,²⁵ ხოლო 2016 წლის 2 აგვისტოს განჩინების შემთხვევაში – საქართველოში არსებულ არბიტრაჟზე. (არბიტრაჟი 2018, 25).

²⁴ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინება საქმეზე #2/ზ-872. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 აგვისტოს განჩინება, საქმეზე N2ზ/4905-16, მითითებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინებაში.

²⁵ საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო – ICC ICA

თავი III. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმა

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა შედგეს წერილობით, გამოტანის ვადის მითითებით. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს ის მოტივები, რომლებსაც აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება. ეს არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ სხვა რამეზე ან, როდესაც გადაწყვეტილებაში ასახულია მხარეთა შეთანხმება (მორიგება). (ცერცვაძე 2008).

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე და სასამართლოს მიერ აღსრულებადი რომ იყოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე კრიტერიუმს, კერძოდ:

- ✓ მომზადდეს წერილობით, რომელიც ხელმოწერილი იქნება არბიტრთა უმრავლესობის მიერ;²⁶
- ✓ შეიცავდეს დასაბუთებას, რომელსაც აღნიშნული გადაწყვეტილება ემყარება;²⁷
- ✓ გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს თარიღი და ადგილი, სადაც საარბიტრაჟო წარმოება შედგა;²⁸
- ✓ იგი ხელმოწერილი უნდა გადაეცეს საარბიტრაჟო წარმოების თითოეულ მხარეს.²⁹ (ოსტერმილერი და სვენსონი 2014, 256).

UNCITRAL 1976- რეგლამენტის 32-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შეიცავდეს არბიტრთა ხელმოწერებს, აგრეთვე, მისი გამოტანის ადგილსა და თარიღს. თუ გადაწყვეტილებაზე არ არის რომელიმე მხარის ხელმოწერა, აუცილებელია მასში მითითებული იყოს მიზეზი ხელმოწერის არარსებობისა. (ცერცვაძე 2008).

²⁶ „საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ“, თავი VI, მუხლი 39 (2)

²⁷ იქვე, მუხლი 39 (3)

²⁸ იქვე, მუხლი 39 (2)

²⁹ იქვე, მუხლი 39 (4)

§ 3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

ნიუ-იორკის კონვენცია განმარტავს, რომ „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა არის პროცესი, რომლის შედეგადაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ხდება ეროვნული სამართლებრივი სისტემის ნაწილი.“ ცნობა უმეტესად გამოიყენება, როგორც თავდაცვის საშუალება, რომელსაც ფარს ადარებენ. ხოლო, „აღსრულება არის ხმალი. საარბიტრაჟო განხილვაში მოგებული მხარეები შეეცდებიან მოიპოვონ ის, რაც არბიტრებმა მათ მიაკუთვნეს.“

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მომზადების შემდეგ გამარჯვებულ მხარეს შეიძლება მოუწიოს ზრუნვა აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებაზე, თუ დამარცხებული მხარე გადაწყვეტილებას არ შეასრულებს. ამ შემთხვევაში, მხარე დამოკიდებულია სასამართლოზე, რადგან არბიტრაჟს არ გააჩნია აღსრულების ძალაუფლება. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს [...]. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით [...] უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო.³⁰ მხარემ, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უნდა მიმართოს სასამართლოს და წარუდგინოს მას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ორიგინალი ან, გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და შეთანხმება არბიტრაჟის შესახებ, რომელიც გაფორმდა მხარეთა შორის.³¹ ამ პროცედურების სრულყოფილად გავლის შემდგომ, სასამართლომ უნდა ცნოს და აღასრულოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც „საბოლოოა“ და მხარეთა შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე. (ოსტერმილერი და სვენსონი 2014, 259).

³⁰ „საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ“, თავი VIII, მუხლი 44 (1)

³¹ იქვე, მუხლი 44 (2)

“თუკი არ დამტკიცდა ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ან შეჩერების საფუძვლის არსებობა, სასამართლო ვალდებულია აღასრულოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.”

➤ უარი აღსრულებაზე

სასამართლომ შესაძლოა უარი თქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც დადგინდება:³²

- ✓ საარბიტრაჟო შეტანხმების მხარის ქმედუუნარობა;
- ✓ საარბიტრაჟო შეტანხმების ბათილობა ან ძალადაკარგულობა;
- ✓ მხარისათვის ინფორმაციის არარსებობა საარბიტრაჟო წარმოების შესახებ;
- ✓ მხარის საკატიო მიზეზი, როდესაც ვერ იღებს მონაწილეობას საარბიტრაჟო განხილვაში;
- ✓ არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეტანხმებას;
- ✓ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო საარბიტრაჟო შეტანხმებით გათვალისწინებული ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება;
- ✓ საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამება იმ ქვეყნის კანონს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა;
- ✓ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;

³² „საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ“, თავი VIII, მუხლი 45 (1)

- ✓ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

ნიუ-იორკის კონვენცია აყალიბებს ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის ამომწურავ საფუძვლებს, როდესაც მხარე, რომელიც ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმების ცნობასა და აღსრულებას, უფლებამოსილია დაამტკიცოს რომ სახეზეა ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის ხუთიდან ერთ-ერთი საფუძველი:

1. სახეზე არ არის ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება,³³ რადგან მისი მხარეები ქმედუნარონი იყვნენ ხელშეკრულების დადებისას ან ხელშეკრულება არ არის იურიდიული ძალის მქონე;
2. მოპასუხე არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული საარბიტრაჟო წარმოების შესახებ, ან სხვა მიზეზით ვერ შეძლო წარმოებაში მონაწილეობის მიღება³⁴ სამართლიანი პროცესის ნორმების დარღვევის გამო;
3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიღებულია საკითხზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ცდება მის ფარგლებს;³⁵
4. საარბიტრაჟო ტრიბუნალის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში იმ ქვეყნის კანონმდებლობას, სადაც საარბიტრაჟო წარმოება მიმდინარეობდა;³⁶
5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ არის სავალდებულო ძალის მქონე მხარეთათვის, ან ბათილია, ან აღსრულება შეჩერებულ იქნა იმ ქვეყნის უფლებამოსილი ირგანოს მიერ, რომლის კანონმდებლობის საფუძველზეც მოხდა გადაწყვეტილების გამოტანა.³⁷

ნიუ-იორკის კონვენცია განმარტავს, რომ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი წარმოადგენს ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს, რომელსაც

³³ „ნიუ-იორკის კონვენციის“ მუხლი V(1)(ა)

³⁴ იქვე, მუხლი V(1)(ბ)

³⁵ იქვე, მუხლი V(1)(გ)

³⁶ იქვე, მუხლი V(1)(დ)

³⁷ იქვე, მუხლი V(1)(ე)

მოპასუხე უფლებამოსილია დაეყრდნოს. (ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე 2013, 107-108გვ).

აგრეთვე, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით უარი უთხრას მხარეს ცნობასა და აღსრულებაზე ქვემოთ მოცემული გარემოებების არსებობისას:

1. იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც აღსრულება მოითხოვება, დავა არ შეიძლება იყოს არბიტრაჟის მიერ განხილვადი;³⁸
2. გადაწყვეტილების აღსრულება ეწინააღმდეგება იმ ქვეყნის საჯარო წესრიგს, სადაც მოითხოვება აღსრულება³⁹. (ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე 2013, 108).

კონვენციის მიზნის გათვალისწინებით, რომელსაც წარმოადგენს „იმ სტანდარტების უნიფიცირება, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება ხელმომწერ ქვეყნებში“⁴⁰ (თავი I, ნაწილი I.2), მისი შემდგენელი პირები მიზნად ისახავდნენ, რომ ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები განმარტებული და გამოყენებული ყოფილიყო ვიწროდ და უარის თქმა განხორციელებულიყო მხოლოდ სერიოზულ შემთხვევებში. სასამართლოთა უმრავლესობამ შეიმუშავა ამგვარი შეზღუდული მიდგომა V მუხლის საფუძვლების განმარტებისათვის. მაგალითისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების მესამე ოლქის სააპელაციო სასამართლომ, საქმეზე⁴¹ დაადგინა: „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მომხრე განწყობის გათვალისწინებით, სასამართლოებმა შეზღუდეს აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები კონვენციის V მუხლში მოცემული საფუძვლებით, და, ზოგადად, ამ საფუძვლებს ვიწროდ განმარტავენ.“⁴² (ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე 2013, 109გვ).

³⁸ იქვე, მუხლი V(2)(ა)

³⁹ „ნიუ-იორკის კონვენციის“ მუხლი V(2)(ბ)

⁴⁰ შეერთებული შტატები: აშშ-ის უზენაესი სასამართლო, 17 ივნისი 1974 (Fritz Scherk v. Alberto-Culver Co.) Yearbook Commercial Arbitration I (1976) გვ. 203- 204 (აშშ #. 4).

⁴¹ China Minmetals Materials Import and Export Co., Ltd. v. Chi Mei Corp

⁴² შეერთებული შტატები: აშშ-ის სააპელაციო სასამართლო, მესამე ოლქი, 26 ივნისი 2003 (China Minmetals Materials Import and Export Co., Ltd. v. Chi Mei Corporation) Yearbook Commercial Arbitration XXIX (2004) გვ. 1003-1025 (აშშ # 459).

როგორც მოცემულ კონვენციაშია აღნიშნული, ახალი ბრუნსვიკის დედოფლის კარის სასამართლომ 2004 წელს დაადგინა: „კონვენციის V მუხლით გათვალისწინებული ცნობა-აღსულებაზე უარის თქმის საფუძვლები უნდა განიმარტოს ვიწროდ და შეზღუდულად“.⁴³ საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული კონვენციით ეხება ისთ შემთხვევას, როდესაც საარბიტრაჟო წარმოების მხარემ იცის საარბიტრაჟო წარმოების ხარვეზის შესახებ, მაგრამ საარბიტრაჟო განხილვის დროს არ განაცხადებს აღნიშნულზე. კეთილსინდისიერების პრინციპმა⁴⁴ უნდა აიძულოს მხარეები არ განახორციელონ ამგვარი ქმედება. (ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე 2013, 110).

თავი IV. არბიტრაჟის უპირატესობები სასამართლო პროცესსა და მედიაციასთან შედარებით

§ 4. არბიტრაჟის უპირატესობები

⁴³ კანადა: ახალი ბრუნსვიკის დედოფლის კარის სასამართლო, საპროცესო განყოფილება, წმ. იოანეს სახელობის რაიონული სასამართლო, 28 ივლისი 2004 (Adamas Management & Services Inc. v. Aurado Energy Inc.) Yearbook Commercial Arbitration XXX (2005) გვ. 479-487 (კანადა # 18).

⁴⁴ ცნობილია როგორც გასაჩივრების უფლებაზე უარის თქმის ან გასაჩივრების უფლების ჩამორთმევის პრინციპი (estoppel)

რას წარმოადგენს არბიტრაჟი და რა უპირატესობები გააჩნია მას? ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია დღევანდელობაში მაშინ, როდესაც სასამართლოებში განსახილველ საქმეთა დიდი ოდენობაა შესული და მხარეებს ხანგრძლივი დროის მანძილზე უწევთ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების ლოდინი. ყოველივე ამის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე მიმართავენ არბიტრაჟს, სადაც განსაზღვრულია საქმის განხილვის კანონით დადგენილი ვადა. მხარეები თავად ირჩევენ არბიტრს/არბიტრებს. არბიტრაჟის წევრთა დანიშვნისას გამორიცხულია რომელიმე მხარის უპირატესი მდგომარეობა და მიკერძოება რომელიმე მათგანისადმი. მნიშვნელოვანია ასევე, არბიტრაჟის მხრიდან ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებაც, რადგან არბიტრაჟში სხდომები დახურულია. არბიტრაჟში არ არსებობს მეორე და მესამე ინსტანცია (აპელაცია და კასაცია). კერძო არბიტრაჟის ფუძემდებლური პრინციპია- მხარეთა დისპოზიციურობა, შეჯიბრებითობა. მხარეები თავად განსაზღვრავენ, რა საშუალებით დაიცვან თავი, რა მტკიცებულებები წარმოადგინონ და რა მოთხოვნა დააყენონ. არბიტრი მხოლოდ აფასებს მათ და შემდგომ გამოაქვს გადაწყვეტილება.

აღნიშნული ინსტიტუტის ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობებია: ხარჯი- სასამართლოსგან განსხვავებით არბიტრაჟი გაცილებით იაფია; სისწრაფე- არბიტრაჟი დროში მოქნილია და სწრაფად მიმდინარეობს; საბოლოო ხასიათი- არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულო მხარეთა შესასრულებლად; ადგილობრივი აღსრულება- „საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ“ საშუალებას აძლევს საერთო სასამართლოებს პირდაპირ აღასრულონ არბიტრაჟის გადაწყვეტილებები; საერთაშორისო აღსრულება- ნიუ-იორკის კონვენციის მიხედვით, კონვენციის ხელმომწერ ქვეყანაში⁴⁵ მიღებული ნებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულებადია ყველა სხვა ხელმომწერ ქვეყანაში. (ოსტერმილერი და სვენსონი 2014, 215-216).

⁴⁵ ნიუ-იორკის კონვენციას 145-ზე მეტმა ქვეყანამ მოაწერა ხელი

4.1. რით განსხვავდება არბიტრაჟი სასამართლო პროცესისგან?

მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟი ტრადიციული სასამართლო პროცესის მსგავსია, სადაც მხარეები მტკიცებულებებს წარუდგენენ ნეიტრალურ მხარეს, რომელიც განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას,⁴⁶ რომლის შესრულებაც სავალდებულოა მხარეთათვის, მაინც არსებობს განსხვავებები სასამართლო პროცესსა და არბიტრაჟის ინსტიტუტს შორის.

- ✓ სასამართლო პროცესისგან განსხვავებით, არბიტრაჟში მხარეები თანხმდებიან და იღებენ გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო წარმოების წესების შესახებ. ისინი თავად თანხმდებიან, თუ სად და როდის გაიმართება არბიტრაჟი, რომელი სამართალი იქნება გამოყენებული არბიტრაჟის პროცესში. ასევე, მხარეები განსაზღვრავენ არბიტრთა რაოდენობას და მათი დანიშვნის წესს.⁴⁷
- ✓ არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ ფორუმი, რომელიც სასამართლოსგან განსხვავებით დროულად და სწრაფად განიხილავს დავას.
- ✓ ვინაიდან, არბიტრაჟი გამარტივებულ პროცესს წარმოადგენს, იგი გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე სასამართლო სამართალწარმოება.
- ✓ არბიტრაჟი, სასამართლო პროცესისგან განსხვავებით, დახურულია. (ოსტერმილერი და სვენსონი 2014, 209-210).

4.2. რით განსხვავდება არბიტრაჟი მედიაციისგან?

არბიტრაჟი და მედიაცია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებს წარმოადგენს. ორივე მათგანის საქმისწარმოება მიმდინარეობს

⁴⁶ ორივე შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულება ხდება სასამართლოების მიერ

⁴⁷ „საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ, თავი III, მუხლი 10 (2)

სასამართლოს ფარგლებს გარეთ, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ადგილას. თუმცა, არბიტრაჟი მნიშვნელოვნად განსხვავდება მედიაციისაგან:

- ✓ მედიაციის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებენ მხარეები, არბიტრაჟში კი, გადაწყვეტილებას იღებს არბიტრი, რომელიც საბოლოოა და მხარეთათვის შესასრულებლად სავალდებულო.
- ✓ „მედიაციის შემთხვევაში ფოკუსირება ხდება ისეთი შედეგის გამონახვაზე, რომელიც დააკმაყოფილებს მხარეთა ინტერესებს და არა მხოლოდ ერთ-ერთ მხარეს ან არცერთ მათგანს.“ არბიტრაჟში განიხილება საქმეში არსებული ფაქტები და „ფოკუსირება ხდება სამართლებრივად ჯანსაღი გადაწყვეტილების გამოძებნაზე.“ (ოსტერმილერი და სვენსონი 2014, 210-211).

თავი V. არბიტრაჟის მოქმედება საქართველოს პრაქტიკაში

საქართველოში არბიტრაჟის არსებული მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესასწავლად 2017 წლის აგვისტო-ნოემბრის პერიოდში ჩატარდა კვლევა, რომელიც მოიცავდა არსებული კანონმდებლობისა

და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვას, ასევე ათი მოქმედი საარბიტრაჟო ინსტიტუტის შესწავლას და ინტერვიუებს არბიტრაჟთან დაკავშირებულ პირებთან.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა თავის ნაშრომში გამოყო რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი არბიტრაჟის საქმიანობასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხორციელდება საქართველოს პრაქტიკაში იგი.

გამოკითხულ საარბიტრაჟო დაწესებულებებიდან ერთი საარბიტრაჟო ინსტიტუტი 2004 წელს იყო დაფუძნებული, ცხრა 2008-2010 წლებში, ერთიც-2013 წელს. 10 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით არის ჩამოყალიბებული, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ხოლო ერთი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახით. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საარბიტრაჟო ინსტიტუტი იურიდიული/საკონსულტაციო ფირმის ფარგლებში მოქმედებს და იმართება ერთი და იგივე პირების მიერ. ზოგ შემთხვევაში, ინსტიტუტი დამოუკიდებელი იურიდიული პირია, მაგრამ მისი მეწილე პარტნიორები იურიდიული/საკონსულტაციო ფირმები ან აღნიშნულ ფირმებში წილის მფლობელი ფიზიკური პირები არიან. პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი პირი რამდენიმე საარბიტრაჟო ინსტიტუტთანაა დაკავშირებული მმართველი დირექტორის ან მეწილე პარტნიორის სახით. აღმოჩნდა ერთი შემთხვევაც, როდესაც გამოკითხულს ერთპიროვნულად დაარსებული ჰქონდა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორი საარბიტრაჟო ინსტიტუტი და თვითონ იყო ორივე ინსტიტუტის ერთადერთი პარტნიორი, არბიტრიც და დირექტორიც. ყველა გამოკითხულ საარბიტრაჟო ინსტიტუტს აქვს საკუთარი ოფისი, სადაც იმართება სხდომები. გამოკითხული 11 ინსტიტუტიდან 10 თბილისში, ერთი კი ბათუმში საქმიანობს. გამოკითხულთაგან 6 ინსტიტუტი სისტემურად განიხილავს საქმეებს, ხოლო ოთხმა ინსტიტუტმა თქვა, რომ ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმე საქმე ჰქონდათ მხოლოდ. დღეს საქმეებს ვეღარ განიხილავენ, რადგან საქმეები აღარ აქვთ. ერთმა ინსტიტუტმა აღნიშნა, რომ მის არბიტრაჟზე მოთხოვნა შემცირებულია. (არბიტრაჟი 2018, 12).

არბიტრები

ზემოთ აღნიშნულ გამოკითხულ ინსტიტუტებიდან, მხოლოდ ოთხ საარბიტრაჟო დაწესებულებას ჰქონდა ვებგვერდი არბიტრთა სია, მაგრამ არბიტრების რაოდენობა ოთხივე შემთხვევაში იყო განსხვავებული.

I სია- 56 არბიტრი

II სია- 30 არბიტრი

III სია - 7 არბიტრი

IV სია - 1 არბიტრი

მეოთხე სიის შემთხვევაში, არბიტრაჟის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სია არ აქვს და თავად განიხილავს ყველა შემოსულ დავას, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს სხვა პირის დანიშვნის. დანარჩენი სამი ინსტიტუტის შემთხვევაში გაირკვა, რომ მათ ინსტიტუტებს სხვა არბიტრებიც ჰყავთ ან ხდება მათი მოწვევა. ერთმა გამოკითხულმა აღნიშნა, რომ აქვს ორი საარბიტრაჟო ინსტიტუტი, სადაც არბიტრი, დირექტორი და დამფუძნებელია თვითონ, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ. კვლევითი რესურსების მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად, გამოიკვეთა არბიტრთა არჩევის შემდეგი კრიტერიუმები: ცნობადობა, კვალიფიკაცია, კომპეტენცია, ნდობა, ავტორიტეტი. გამოკითხულიდან ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ „არბიტრი საზოგადოებაში [უნდა] სარგებლობდეს პატიოსანი და ობიექტური პირის რეპუტაციით“. უპირატესობას ისინი იურისტებს და ადვოკატებს ანიჭებენ. ერთ-ერთმა განაცხადა, რომ „არბიტრი იურისტი უნდა იყოს აუცილებლად და , შესაბამისად, მე უნდა ვენდობოდე მას, როგორც კვალიფიციურს“. თუმცა, ხდება შემთხვევა, როდესაც ინსტიტუტი იწვევს არაიურიდიული განათლების მქონე არბიტრს, რომელიც რომელიმე კონკრეტულ დავაზე კვალიფიციურია. (არბიტრაჟი 2018, 14-15).

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საარბიტრაჟო ინსტიტუტების უმრავლესობას აქვს საარბიტრაჟო წარმოების წესები/დებულება და დაწესებულების წესდებაც, მაგრამ, როგორც კვლევაში აღნიშნული, არ აქვთ ვებგვერდი, რომელიც სრულყოფილ ინფორმაციას მიაწვდის მომხმარებლებს. ოთხ საარბიტრაჟო ინსტიტუტს აქვს ვებგვერდი, რომელზეც მწირი ინფორმაცია მოიპოვება. საარბიტრაჟო წარმოების წესები/დებულება და საკონტაქტო ინფორმაცია მხოლოდ.⁴⁸ სამი ინსტიტუტის შემთხვევაში გაცილებით მეტი ინფორმაციის მოპოვებაა შესაძლებელი. კერძოდ, საარბიტრაჟო წარმოების წესები/დებულება, არბიტრების სია, კალკულატორი საარბიტრაჟო ხარჯებისთვის, საკონტაქტო ინფორმაცია და სიახლეები. აღნიშნული სამი ინსტიტუტიდან ორს ვებგვერდზე განთავსებული აქვს ინფორმაცია შიდაორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ, საარბიტრაჟო დათქმების ნიმუშები, რომელიც ხელშეკრულებაში უნდა იქნას გათვალისწინებული და გზამკვლევები არბიტრაჟის შესახებ. ზოგი დაწესებულების საარბიტრაჟო წესების ნახვა, როგორც კვლევითი რესურსების ცენტრი აღნიშნავს, საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს-საკანონმდებლო მაცნის ვებგვერდზე იყო შესაძლებელი, რაც განპირობებულია 1997 წლის კანონის მოთხოვნით,⁴⁹ რომელიც მიზნად ისახავდა საარბიტრაჟო ინსტიტუტის დებულების მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებას. (არბიტრაჟი 2018, 12-13).

კვლევისას გამოვლინდა ისეთი შემთხვევაც, როდესაც ინსტიტუტის წესების მოძიება ვერ მოხერხდა ვერანაირი საშუალებით.

§ 5. რა აფერხებს არბიტრაჟს საქართველოში?

2017 წლის კონფერენციაზე, „რა პერსპექტივა აქვს არბიტრაჟის ინსტიტუტს საქართველოში“, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის თავმჯდომარე

⁴⁸ არბიტრების სიაც გამონაკლის შემთხვევებში

⁴⁹ საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ (1997 წელი), მუხლი 7.2

მზია თოდუამ ჟურნალისტებს უთხრა, რომ საარბიტრაჟო დავებში მნიშვნელოვანია, ამ სისტემის მიმართ ნდობა არსებობდეს.

“არბიტრაჟი ეს არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზა. არბიტრაჟის განსავითარებლად საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და შემდეგ მისი მოქმედებაში მოყვანა. ამ თვალსაზრისით აუცილებელია ინფორმირებულობა, მეორე- ნდობა არბიტრებისა და ზოგადად არბიტრაჟული პროცესების მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ ეს პროცედურები დაცული არ იქნება, სასამართლო, რომელიც სააღსრულებო სასამართლოს როლში გამოდის, ასეთ გადაწყვეტილებას არ ცნობს და, ბუნებრივია, არ აღსრულდება,” - ამბობს მზია თოდუა.

2018 წლის კავკასიის კვლევითი რესურსების კვლევის მიზანს თავად ცენტრი განმარტავს ნაშრომში,⁵⁰ - „გამოკითხვის მიზანი იყო, გაგვეგო, თუ რა იციან ამ ჯგუფებმა არბიტრაჟის შესახებ და როგორი დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ; რას ხედავენ არბიტრაჟის წინაშე მდგარ გამოწვევად და რა არის მისი გაუმჯობესების სავარაუდო გზები“.

იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რა აფერხებს ბიზნეს/სამეწარმეო კომპანიებს, რომ მიმართონ არბიტრაჟს წმინდა კომერციული (business 2 business) დავების გადასაწყვეტად, განმეორებით კვლავ სახელდება არბიტრაჟის შესახებ ცოდნისა და აღნიშნული ინსტიტუტისადმი ნდობის ნაკლებობა.

2008 წელს ჩატარებული კვლევის საშუალებით გამოიკვეთა ადვოკატის როლი, რომელიც თანაბრად შეიძლება იყოს, როგორც ხელისშემშლელი, კერძოდ, არ ურჩიოს კლიენტს არბიტრაჟი, ასევე, ხელშემწყობი ფაქტორიც, ანუ, ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს საარბიტრაჟო დათქმა. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ მომხმარებელსა და არბიტრაჟს შორის დამაკავშირებელ რგოლს ადვოკატი/იურისტი წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია შესაძლებლობა კონსულტაცია გაუწიოს კლიენტებს არბიტრაჟის უპირატესობის შესახებ, რადგან როგორც წესი, კლიენტები ენდობიან ადვოკატებს/იურისტებს. გამოვლინდა ის ფაქტიც, რომ ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონებში, სადაც

⁵⁰ „არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში“,

ქალაქთან შედარებით ნაკლებადაა იურიდიული კომპანიები და კლიენტები დამოკიდებულები არიან იურისტების რჩევებზე. როგორც გამოიკვამ, იურისტებსაც არ აქვთ კარგი და სანდო დამოკიდებულება არბიტრაჟის მიმართ, რაც არბიტრაჟის ცნობადობის ნაკლებობით არის გამოწვეული. იურისტები არბიტრაჟს კონკურენტად აღიქვამენ და მიაჩნიათ, რომ არბიტრაჟი მათ უფლებებს უკვეცავს, ამიტომაც სასამართლოში ამჯობინებენ სიარულს. სწორედ ამიტომ, ისინი კლიენტებს სასამართლოს უპირატესობებზე უმახვილებენ ყურადღებას.

კვლევისას გამოკითხულთა ოთხმა საარბიტრაჟო ინსტიტუტმა არბიტრაჟის მიმართვიანობის შემცირების მიზეზად საკანონმდებლო ცვლილებები დაასახელეს, რაც ითვალისწინებს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობას. აგრეთვე, დასახელდა საარბიტრაჟო ინსტიტუტისთვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლების ჩამორთმევა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების კომპეტენციის სააპელაციო სასამართლოსათვის გადაცემა.

გამოკითხულთა ნაწილმა უარყოფითად აღიქვა სასამართლოებისათვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების დაქვემდებარება. კერძოდ, ერთ-ერთმა საარბიტრაჟო ინსტიტუტმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო ერევა მის გადაწყვეტილებაში. გამოკითხული საარბიტრაჟო ინსტიტუტების ნაწილი კი აღნიშნავს, რომ დადებით ფაქტორს წარმოადგენს სასამართლოსთვის ცნობა-აღსრულების დაქვემდებარება. ერთი საარბიტრაჟო ინსტიტუტის წარმომადგენელი აცხადებს, რომ სანამ სააპელაციო სასამართლოს გარკვეული კონტროლის ფუნქცია მიენიჭებოდა, ზოგიერთი საარბიტრაჟო დაწესებულება მიკერძოებულ, კანონთან შეუსაბამო გადაწყვეტილებებს იღებდა.

რესპოდენტების აზრით, არბიტრაჟის განვითარების დამაბრკოლებელი მიზეზია ქვეყანაში არბიტრაჟის შელახული რეპუტაცია, რაც მისმა წარსულმა და „ჯიბის არბიტრაჟების“ ინსტიტუტის არსებობამ განაპირობა.

რამდენიმე საარბიტრაჟო ინსტიტუტმა ახსენა, რომ საარბიტრაჟო ინსტიტუტების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით

არსებობა აფერხებს მის განვითარებას. მათი აზრით, როდესაც ინსტიტუტი შეზღუდული პასუხისმგებლობის სახით არის ჩამოყალიბებული, ეს გულისხმობს, რომ ინსტიტუტები მოგებაზე არიან ორიენტირებულნი, რაც მიკერძოებულობასთან და უსამართლობასთან ასოცირდება, როგორც აღნიშნავენ ისინი. სწორედ ეს პაქტორია იმის მიზეზი, რომ ბევრი ბიზნესი ეჭვის თვალით უყურებს არბიტრაჟს. აღნიშნავენ იმასაც, რომ პრობლემას წარმოადგენს საარბიტრაჟო ინსტიტუტის იურიდიული ფორმის ფარგლებში საქმიანობა, რადგან ეს მიკერძოების და ინტერესთა კონფლიქტის მაჩვენებელია.

კვლევის შედეგად დასახელდა ის გარემოებაც, რომ არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია მოსამართლეთა კომპეტენციის ნაკლებობა. სასამართლო ხელს უნდა უწყობდეს არბიტრაჟის განვითარებას და ხელს არ უნდა უშლიდეს საქმეების არბიტრაჟში განსახილველად წასვლას.

რესპოდენტები ასახელებენ, რომ პრობლემური საკითხია სააპელაციო სასამართლოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების პროცედურების გაწეილი ვადებიც. ვინაიდან, როგორც აღინიშნა, ისინი ცდილობენ, მაქსიმალურად მოკლე ვადებში განიხილონ დავა, მაგრამ აპელაციაში მათი დრო ხშირად იწელება. ინტერვიუს დროს ერთმა საარბიტრაჟო ინსტიტუტის სასამართლოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოში არბიტრაჟთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ვადებს მაქსიმალურად შეამცირებდა.

კითხვაზე, თუ რა არის აღნიშნული პრობლემის გადაჭრის საშუალება ისინი ასახელებენ შემდეგ საკითხებს:

აუცილებელია არბიტრაჟის შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლისათვის, საინფორმაციო შეხვედრის ან ტრენინგის ჩატარება აღნიშნულ ინსტიტუტთან დაკავშირებით, საინფორმაციო კამპანიები და სხვა. ინფორმაცია სატელევიზიო და სხვა მედია საშუალებებით ხშირად უნდა ვრცელდებოდეს, რათა მეტი დაინტერესება გამოიწვიოს მომხმარებლებში.

ხუმმა საარბიტრაჟო ინსტიტუტმა ყურადღება სახელმწიფოს როლზეც გაამახვილა. მათი აზრით, აღნიშნულ სფეროს განვითარებაში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული მხარდაჭერა, მაგ.: „კერძო ხასიათის ხელშეკრულებებში საარბიტრაჟო დათქმების ჩადების გზით, სახელმწიფო არბიტრაჟს პოპულარიზაციას გაუწევს და ბიზნეს სექტორს არბიტრაჟში წასვლისკენ მოუწოდებს“. ორმა ინსტიტუტმა ყურადღება უნივერსიტეტებზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ „აუცილებელია ახალი თაობის იურისტები თავიდანვე გათვითცნობიერებულები და კომპეტენტურები იყვნენ ამ სფეროში“. ორმა ინსტიტუტმა თქვა, რომ „უნდა არსებობდეს რაიმე კონტროლის მექანიზმი საარბიტრაჟო ინსტიტუტების შექმნის ეტაპზე - მაგ.: რაიმე სახის ლიცენზიის მოპოვება ან გამოცდების ჩაბარება, როგორც საარბიტრაჟო ინსტიტუტის დაარსების წინაპირობა“. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ „კარგი იქნება, საკანონმდებლო მოთხოვნის სახით დაწესდეს საარბიტრაჟო ინსტიტუტების ასოციაციებად (არაკომერციულ იურიდიულ პირებად) დაარსება“. ორი ინსტიტუტის რჩევა იყო, „სააპელაციო სასამართლოში განხილვის ვადების შემცირება“. ერთმა ინსტიტუტმა განაცხადა, რომ „თემატური საარბიტრაჟო ინსტიტუტების ჩამოყალიბება (მაგალითად, საზღვაო/სამშენებლო საკითხებზე მომუშავე ინსტიტუტი და ა.შ.) და განვითარება მეტად შეუწყობს ხელს საქართველოში არბიტრაჟის გაძლიერებასა და დამკვიდრებას“.

გამოკითხულ იურისტთა უმეტესობა შუალედურ პოზიციას იკავებს არბიტრაჟის ინსტიტუტის მიმართ. ისინი უნდობლობის ძირითად მიზეზად საარბიტრაჟო ინსტიტუტების მიკერძოებულობას და დამოუკიდებლობის არარსებობას ასახელებენ. დასახელდა ის ფაქტიც, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, სურვილის შემთხვევაში, გახდეს არბიტრი, რაც არბიტრაჟის მიმართ უნდობლობას იწვევს მათთვის. თუმცა, ნდობის საფუძვლად დაასახელეს რესპონდენტთა პირადი დადებითი გამოცდილება, არბიტრთა პროფესიონალიზმი და პროცესის კონფიდენციალობა, არბიტრაჟის სისწრაფე და მოქნილობა, ასევე ეთიკის კოდექსი. ზოგიერთმა მათგანმა განაცხადა, რომ ნდობა მთლიანად დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ ინდივიდსა და საარბიტრაჟო

ინსტიტუტზე – „თუ ისინი პირადად ენდობიან პიროვნებებს, მაშინ მათ ინსტიტუტის მიმართაც უჩნდებათ ნდობის შეგრძნება“. ადვოკატებმა/იურისტებმა გამოკითხვისას განაცხადეს, რომ „საქართველოში არბიტრაჟის ყველაზე დიდ გამოწვევად, საარბიტრაჟო ინსტიტუტების მსგავსად, ამ ინსტიტუტის მიმართ ნდობისა და ინფორმაციის არარსებობაა“. რამდენიმე იურისტმა არბიტრაჟის ინსტიტუტის დაბრკოლებად არბიტრთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ნაკლებობა მიიჩნია. ერთმა მათგანმა დაასახელა არბიტრაჟის ცუდი რეპუტაცია ქვეყანაში წარსული პრაქტიკიდან გამომდინარე. ორმა გამოკითხულმა მიზეზად ე.წ. „ჯიბის არბიტრაჟების“ არსებობა დაასახელა. სამმა რესპონდენტმა პრობლემურ საკითხად სასამართლოების მხრიდან არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება მიიჩნია. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ „საჭიროა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და არბიტრების ხელფასების გაზრდა“. კვლევითი რესურსების ცენტრმა მათ მიმართა კითხვით, თუ კონკრეტულად რა უნდა შეიცვალოს, რომ არბიტრაჟი დავების გადაწყვეტის სასურველი გზა და მექანიზმი გახდეს? ექვსმა იურისტმა უპასუხა, რომ უნდა მოხდეს არბიტრაჟის პოპულარიზაცია. ამ ექვსიდან ორმა ახსენა, რომ პოპულარიზაცია განსაკუთრებით ბიზნეს წრეებში უნდა მოხდეს. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ თავად არბიტრაჟებმა უნდა „გაიკეთონ პიარი“, ხოლო მეორემ თქვა, რომ ეს ყველა მხრიდან უნდა განხორციელდეს – ტელევიზიის, სასამართლოს, სამთავრობო წარმომადგენლების მიერ. რესპონდენტებმა ისიც აღნიშნეს, რომ ერთ-ერთი კარგი გამოსავალი იქნება არბიტრების პროფესიული დატრენინგება და მათი კვალიფიკაციის გაზრდა. ერთმა ადვოკატმა თქვა, რომ „არბიტრების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ისე, როგორც ეს მოსამართლეების შემთხვევაში ხდება“. (არბიტრაჟი 2018, 42-43)

კვლევითი რესურსების ცენტრმა ასევე, ინტერვიუები ჩაატარა სააპელაციო სასამართლოს 4 მოსამართლესა და უზენაესი სასამართლოს ერთ მოსამართლესთან. ყველა გამოკითხული მოსამართლე არბიტრაჟს, როგორც სამოქალაქო დავების განმხილველ ინსტიტუტს, მართლმსაჯულების სისტემის მნიშვნელოვან რგოლად მიიჩნევს. ერთმა მოსამართლემ ინტერვიუში აღნიშნა,

რომ „არბიტრაჟი, როგორც დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, უნდა დამკვიდრდეს ჩვენი ქვეყნის რეალობაში არა იმ მიმართულებით, როგორც ახლა ვითარდება, როცა მხოლოდ საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავები ექვემდებარება საარბიტრაჟო განხილვას, არამედ ე.წ. მსხვილი კომერციული დავები, რაც ერთმნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს სწრაფი მართლმსაჯულების დამკვიდრებას და საერთო სასამართლო სისტემის განტვირთვას.“ მოსამართლეების აზრით, მთავარი მიზეზი, თუ რატომ არ მიდის ბიზნესი არბიტრაჟში, არის არბიტრაჟისადმი ნდობის პრობლემა. ორმა მოსამართლემ აღნიშნა უნდობლობა, რომელიც გამომდინარეობს წლების განმავლობაში დაგროვილი პრაქტიკის საფუძველზე შელახული რეპუტაციით, როდესაც ადგილი ჰქონდა არაკეთილსინდისიერ არბიტრაჟებს. ისინი მიკერძოებულები იყვნენ მსხვილი კომპანიის მიმართ. ერთმა მოსამართლემ მოიყვანა შემთხვევა, როდესაც ექსპერიმენტის მიზნით მიმართეს 6 ბანკს და სესხის ხელშეკრულებაში მოითხოვეს სასამართლოს გათვალისწინება. ექვსივე ბანკმა უარი თქვა სასამართლოზე და მოითხოვა არბიტრაჟი, „ოღონდ არა ის არბიტრაჟი, რომელსაც ჩვენ შევარჩევდით, თვითონ რომელი არბიტრაჟიც სურდათ“. მსგავსი მიდგომა, მოსამართლის აზრით, ზეგავლენას ახდენს მხარეთა ნდობაზე და ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ არსებობენ არბიტრაჟები, რომლებიც ამ კონკრეტულ ბანკებთან თანამშრომლობენ. (არბიტრაჟი 2018, 47-48).

2017 წლის პერიოდში ჩატარებული კვლევისას, რომელიც მოიცავდა არსებული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვას, აგრეთვე, ათი მოქმედი საარბიტრაჟო ინსტიტუტის სიღრმისეულ შესწავლას და ინტერვიუებს არბიტრაჟთან დაკავშირებულ პირებთან, რესპოდენტებმა დაასახელეს არბიტრაჟის განვითარების შემაფერხებელი პრობლემების გადაჭრის ხედვები:

1. არბიტრაჟის ცნობადობის გაზრდა. საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარება;⁵¹
2. ტრენინგების ჩატარება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისათვის, რათა მომავალი მოსამართლეები თავიდანვე ინფორმირებულები იყვნენ არბიტრაჟის და მისი უპირატესობების შესახებ;
3. კერძო ხასიათის ხელშეკრულებებში საარბიტრაჟო დათქმების ჩადება, რომელიც პოპულარიზაციას გაუწევს არბიტრაჟის;
4. საარბიტრაჟო ინსტიტუტის დაარსების წინაპირობად უნდა განისაზღვროს ლიცენზიის მოპოვება;
5. სააპელაციო სასამართლოში შემცირდეს საქმის განხილვის ვადები;
6. საქართველოში არბიტრაჟის გაძლიერებას მეტად შეუწყობს ხელს თემატური⁵² საარბიტრაჟო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. (არბიტრაჟი 2018, 40-41).

დასკვნა

არბიტრაჟის, როგორც სამოქალაქო დავების განმხილველი ინსტიტუტის საქართველოში დასამკვიდრებლად საჭიროა მომხმარებლისათვის ისეთი

⁵¹ „საზოგადოებამდე სწორად მივიტანოთ ის უპირატესობები, რაც გააჩნია საარბიტრაჟო წარმოებას“.

⁵² მაგალითად, საზღვაო/სამშენებლო საკითხებზე მომუშავე ინსტიტუტი

უპირატესობების შეთავაზება, რის გამოც იგი არბიტრაჟს სასამართლო პროცესს ამჯობინებს. არბიტრაჟმა უნდა გამონახოს ისეთი უპირატესობები, რითაც იგი სასამართლოზე მიმზიდველი იქნება. ასეთი უპირატესობები შეიძლება იყოს არბიტრების კვალიფიკაცია, არბიტრაჟის სისწრაფე, თემატური საარბიტრაჟო ინსტიტუტების ჩამოყალიბება.

არბიტრაჟის ცნობადობის ამაღლების მიზნით, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს აღნიშნული ინსტიტუტის განსავითარებლად, საჭიროა დაიგეგმოს მიზნობრივი ცნობადობის ამაღლების კამპანია, რათა ტელევიზიასა თუ სხვა საინფორმაციო ხასიათის გადაცემებში გამოჩნდნენ პროფესიონალი არბიტრები, რომლებიც ისაუბრებენ არბიტრაჟის იმ უპირატესობებზე, რომელთა საშუალებითაც განვითარებული ქვეყნები უპირატესობას ანიჭებენ მას დავის მოგვარების სხვა საშუალებებთან შედარებით. ამასთან, საქართველოში არბიტრაჟის მეტად განსავითარებლად, საჭიროა მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა ბიზნეს ასოციაციებთან, საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენლებთან, საქართველოსა და ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან...

იმის გასაგებად, თუ რა პოტენციალი აქვს არბიტრაჟს, როგორც სამოქალაქო დავების განმხილველ ინსტიტუტს საქართველოში, რათა დავის გადაწყვეტის უფრო მისაღები ინსტიტუტი გახდეს საჭიროა, სისტემაში ჩართული თუ დაინტერესებული ყველა მხარის შეხედულების გარკვევა. ასევე, არსებული სასამართლო პრაქტიკის შეფასება. რეალობის საფუძვლიანად შესწავლის შემდგომ, უკეთ შევძლებთ მსჯელობას არბიტრაჟის პერსპექტივასა და იმ ზომებზე, რაც მისი განვითარებისთვისაა საჭირო. (არბიტრაჟი 2018,11).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება (2-1043/15);

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებული ნიუ-იორკში, 1958 წლის 10 ივნისს- <http://nccl.ge/m/u/ck/files/NYC-Glossary.pdf>
3. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე, რეგისტრაციის ნომერი (07-2/280/8, 1);
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე (#28/3594-15);
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება (#28-49);
6. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC)- არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში. (საქართველო, 2018);
7. კანადა: ახალი ბრუნსვიკის დედოფლის კარის სასამართლო, საპროცესო განყოფილება, წმ. იოანეს სახელობის რაიონული სასამართლო, 28 ივლისი 2004 (Adamas Management & Services Inc. v. Aurado Energy Inc.) Yearbook Commercial Arbitration XXX (2005) გვ. 479-487 (კანადა # 18).
8. კეკენაძე გიორგი და სოფიო ტყემალაძე. გზამკვლევი არბიტრაჟში. (საქართველო, 2017);
9. ოსტერმილერი, მ. სტივენ და დილენ რ. სვენსონი. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში. (თბილისი: მერიდიანი, 2014);
10. ცერცვაძე. გიორგი. საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი). (თბილისი, 2008);
11. ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე. (გამომცემლობა: „კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო“, 2013);

12. საქართველოს პარლამენტი, „საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ“, (04/05/2018); <https://matsne.gov.ge/ka/document/view/89284?publication=7>
13. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი (GIAC)- <http://giac.ge/ka/>
14. საქართველოს არბიტრატა ასოციაციის არბიტრატა ეთიკის კოდექსი (GAA (17.12.2013))- <http://www.drc-arbitration.ge/public/images/news/pdf/188.pdf>
15. საარბიტრაჟო შეთანხმება, განჩინება, # ას-1528-1534-2011, 27 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი, 8);
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე (ას-804-858-2011,27.06.2011წ);
17. საქმე #ა-887-შ-21-2016, 26.08.2016 წ);
18. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინება საქმეზე (#2/ზ-872);
19. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინება საქმეზე #2/ზ-872. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 აგვისტოს განჩინება, საქმეზე N2ზ/4905-16, მითითებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინებაში;
20. შეერთებული შტატები: აშშ-ის უზენაესი სასამართლო, 17 ივნისი 1974 (Fritz Scherk v. Alberto-Culver Co.) Yearbook Commercial Arbitration I (1976) გვ. 203-204 (აშშ #. 4);
21. შეერთებული შტატები: აშშ-ის სააპელაციო სასამართლო, მესამე ოლქი, 26 ივნისი 2003 (China Minmetals Materials Import and Export Co., Ltd. v. Chi Mei Corporation) Yearbook Commercial Arbitration XXIX (2004) გვ. 1003-1025 (აშშ # 459);
22. China Minmetals Materials Import and Export Co., Ltd. v. Chi Mei Corp;
23. Georgia International Chamber of Commerce (ICC)- <http://www.icc.ge/>

24. CISG- United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods- <https://www.uncitral.org/pdf/english/texts/sales/cisg/V1056997-CISG-e-book.pdf>
25. Kaufmann-Kohler, Gabrielle; Schultz, Online dispute resolution, Challenges for contemporary Justice, International arbitration law library, „Kluwer law international”, The Hague, 2004, p. 169.
26. Kalanke, Irene Schiedsgerichtbarkeit und Schiedsgerichtsanliche Verfahren im internet. Eine rechtsvergleichende Analyse der Online-Schiedspraxis weltweit Verlag Dr Kovac Hamburg, 2004, s.91;
27. Wolters Kluwer- <http://www.kluwerlaw.com/>
28. United Nations Commission On International Trade Law-<https://uncitral.un.org/>

